



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 368/3

28/12/2017

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 31 დეკემბრის №132/3 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარის ირინე ფრუიძის 2017 წლის 7 დეკემბრის №19944 წერილის საფუძველზე:

1. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 31 დეკემბრის №132/3 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის“ (დანართი 1) მე-3 მუხლის:

ა) „ყ“ და „შ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყ) ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა ოფიციალური და სამუშაო ვიზიტებისათვის გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ (ჯამურად) (ცალ-ცალკე – ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებებისათვის), მათ შორის, პარლამენტის წევრის, აპარატის თანამდებობის პირის სახელისა და გვარის, მივლინების თარიღის (პერიოდის), მივლინების ქვეყნის და ბიუჯეტიდან გაწეული ჯამური სამივლინებო ხარჯის მითითებით (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო

დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

შ) ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის დამტკიცებული ბიუჯეტის შესახებ, ბიუჯეტის მაჩვენებლების და საპროგნოზო პარამეტრების გრაფიკული გამოსახულებით (ქვეყნდება დამტკიცებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა); ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით, ნაზარდი ჯამით, ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლების და მისი კომპონენტების გრაფიკული გამოსახულებით (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა);“;

ბ) „3⁹“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „3¹⁰“–„3²⁰“ ქვეპუნქტები:

„3¹⁰) საქართველოს პარლამენტისათვის კანონპროექტთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველისა და საჯარო დაწესებულებების მიერ წარდგენილი ან/და პარლამენტის კომიტეტების ან/და აპარატის დეპარტამენტების მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, კანონპროექტის თანდართულ დოკუმენტებთან ერთად);

3¹¹) ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ პარლამენტის პლენარული და კომიტეტების სხდომების საპატიო და არასაპატიო მიზეზებით გაცდენის შესახებ, პარლამენტის წევრის სახელისა და გვარის, აგრეთვე საპატიო მიზეზის მითითებით (ქვეყნდება პარლამენტის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების, აგრეთვე რიგგარეშე სესიების დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

3¹²) საქართველოს პარლამენტის დროებითი და დროებითი საგამომიებო კომისიების შექმნასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

3¹².ა) კომისიის შექმნის საფუძველი, კომისიის უფლებამოსილების ვადა (ქვეყნდება კომისიის შექმნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა);

3¹².ბ) კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა (განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა);

3¹².გ) კომისიის სხდომის გამართვის ადგილი და დრო, სხდომის დღის წესრიგი (ქვეყნდება კომისიის სხდომის დანიშნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა);

3¹².დ) კომისიის სხდომაზე გამოცხადებული პირის ვინაობა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საქმის ინტერესიდან გამომდინარე, კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ) (ქვეყნდება კომისიის სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა);

3¹².ე) კომისიის მიერ მოპოვებული მასალა/ინფორმაცია (გარდა იმ მასალისა/ინფორმაციისა, რომლის გამოქვეყნება შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით ან, საქმის ინტერესიდან გამომდინარე, კომისიის გადაწყვეტილებით); კომისიის სხდომის სრული ოქმი ან ოქმის ნაწილი (პროკურატურის თანხმობის არსებობის შემთხვევაში) (ქვეყნდება ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა);

3¹².ვ) კომისიის მიერ მიღებული დასკვნა, გადაწყვეტილება, რეკომენდაცია, წარდგინება (გარდა იმ საკითხებზე მიღებულისა, რომელთა გამოქვეყნება შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით ან, საქმის ინტერესიდან გამომდინარე, კომისიის გადაწყვეტილებით) (ქვეყნდება მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა);

3¹².ზ) საქართველოს პარლამენტის დადგენილება დროებითი ან დროებითი საგამომიებო კომისიის დასკვნის (გადაწყვეტილების პროექტის) თაობაზე (ქვეყნდება დადგენილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა);

3¹³) სტატისტიკური ინფორმაცია კვორუმის არარსებობის გამო სხვა დღისათვის გადადებული საქართველოს პარლამენტის პლენარული და კომიტეტების სხდომების რაოდენობის შესახებ (ქვეყნდება წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

3¹⁴) საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ანგარიშვალდებული ორგანოების წარმომადგენელთა ანგარიშების და ასარჩევ პირთა მოსმენასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

3¹⁴.ა) ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ან/და სხვა ანგარიშვალდებული ორგანოს წარმომადგენლის ანგარიშის მოსმენისათვის გამართული კომიტეტის სხდომის/ პლენარული სხდომის თაობაზე (ქვეყნდება კომიტეტის სხდომის/ პლენარული სხდომის დანიშნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა); შესაბამისი კომიტეტის/პლენარული სხდომის ვიდეოჩანაწერი (ქვეყნდება კომიტეტის/პლენარული სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, 2 კვირის ვადით);

3¹⁴.ბ) ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის მიერ ასარჩევი პირის მოსმენისათვის გამართული კომიტეტის სხდომის/პლენარული სხდომის თაობაზე (ქვეყნდება კომიტეტის სხდომის/პლენარული სხდომის დანიშნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა); შესაბამისი კომიტეტის/პლენარული სხდომის ვიდეოჩანაწერი (ქვეყნდება კომიტეტის/პლენარული სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა);

3¹⁵) სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის სასახლეში საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ექსკურსიის დროს

განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის შესახებ (ქვეყნდება წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

3¹⁶) სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის წევრთა, კომიტეტების და საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენელთა კითხვებთან დაკავშირებით, გაგზავნილი და დაკმაყოფილებული, აგრეთვე განუხილველი განცხადებების რაოდენობისა და პასუხის გაცემისათვის პასუხისმგებელი ორგანოს მითითებით (ქვეყნდება წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

3¹⁷) სტატისტიკური ინფორმაცია საკანონმდებლო ინიციატივებისა და მიღებული კანონების რაოდენობის შესახებ, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტების მიხედვით (ქვეყნდება წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

3¹⁸) სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში გამართული სამთავრობო საათის რაოდენობის შესახებ (ქვეყნდება წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

3¹⁹) სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ საპარლამენტო დელეგაციების/საქართველოს პარლამენტის მეგობრობის ჯგუფების ფარგლებში განხორციელებული საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის შესახებ (ქვეყნდება წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

3²⁰) სასესიო და წლიური ანგარიშები პარლამენტის საქმიანობის შესახებ (სასესიო ანგარიში ქვეყნდება ყოველი სესიის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, ხოლო წლიური ანგარიში – არაუგვიანეს მომდევნო წლის 31 იანვრისა).“.

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

